

# ნაპაღული

სამყაროშილქ ქურნალი



მცირე ფლოკანთათვის

## შინაარსი:

1 თვალ-ზეტუნა . . . . .	667
2 პატარა ტიტო . . . . .	669
3 ჯალღუნა . . . . .	677
4 ჯვავიღები . . . . .	681
5 სხალისო სამეშაო და გასართობი: ა) ჭარის წისკვილი, ბ) შარადა, გ) ხალღური ლექსები, დ) ანდაზები, ე) ჩქარა გამოსათქმელი . . . . .	685

№ XXIV

ოქტომბერი



1905

ტფილისი

ელექტრონის სკომა წიგ. გამოც. ქართ. ამხანაგობისა

1906

# წელიწადი ნაკადული მკორე

## სურათებით

### მცირე წლოვან და მოზარდილ შრმათათვის

გამოვა თვეში ორჯელ სამ წიგნად ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზარდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით

წურნაღში შონაწილეობას იღებენ ჩვენი მწერლობის სუკეტესო მოღვაწენი.

წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.

### უხრნალის ფასი:

ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალკე-ცალკე სამ-სამი მან., ნახევარი წლით ერთად 2 მან. 50 კაპ., ცალკე-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 40 კაპ. ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის 15 კაპ., მოზარდილთათვის 25 კაპ.

წლიურ ხელას მომწერთ შეუძლიანთ ივეში თათო მანკათა შექმნათან.

### ხელის მოწერა შეიძლება:

რედაქციაში და «წ. კ. გ. საზოგადოების» კანკულარიაში. და მ. ი. დემურის სახლში ალექს. № 5. ქალაქს გარეთ ჩვენს აგენტებთან **ბაქოში**: ანეტა ევანიასთან და ნ. დეკანოზიშვილთან; **ქუთაისში**: კოლხიდის საზოგადოებაში, კნ. ბარბარე წერეთლისას და ანა დადემუქელიანთან; **ბათუმში**: მარიამ ელიაევასთან, კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და იასე რაჭველთან; **სუბუში**: კნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო თავდგირიძესთან; **ახალციხეში**: სვიმონ ხეთისაგარაშვილთან; **გორში**: თამარ და ნინო ლომაურებთან და კნ. ელენე ერისთავისას; **ფოთში**: იაკობ ფანცხავასთან და კნ. ელადიმერ სვიმონის-ძე აბაშიძესთან; **ჭიათურაში**: ირაკლი დეკანოზოვთან; **საჩხერეში**: ყარამან ჩხეიძესთან; **ერევანში**: მარიამ ფაელენიშვილთან.

რედაქცია იყოფება ცფილისში, გოლოვინის კროსპექტზე, ზუბალიის სახლში № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

წერილება, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული სურვილი კონორარის მიღებისა, უსასუიდაოდ იქნება ჩაუვლილი.

ფოსტის აღრესი: Тифлис, Редакция НАБАДУЛИ.

რედაქტორი მარიამ ივანეს ახული დემურიასი.


გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

რედაქციაში პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10-დან 1 ს-დის.



## თვალ-სუჭუნა

(ვლოს, ნინოს და კოწია დავითაშვილებს)



ვალ-სუჭუნას თამაშობენ  
ნინო, კოწია და ვლო;  
კუჭკუჭი და სიცილია,  
ამ ცელქების გასამრჯელო.

როცა ორი იმალება,  
სადა უფრო მეტად ბნელა,  
მესამე მათ უფრო ადევნებს  
ფეხის სძახე ნელა ნელა,

რომ მათ კუთხე-სამძლევი  
უფრო კარგად მიიკვლიოს,  
თვალ-სუჭუნა სხვას არგუნოს  
და თამაში ამით სძლიოს.

დაიძახეს: „აბა დროა!“  
აქ კოწია ახელს თვალეებს,  
ღებს დაეპებს და თან გული,  
ვით ბაჭიას უფანცქალებს.

თითქმის მოვლო უკელა კუთხე,  
არ გადარჩა ორმო, ჭები,

მაგრამ არსად არა სჩანან  
 ეს ზაწია—კუდრაჭები!

ისე ჩუმად დაძვრებიან,  
 რომ ფეხს არას აკარებენ,  
 თან კი ჩუმად იცინიან  
 და სმა დაბლა სარსარებენ.

—ვერ გიპოვნეთ, თქვენ გამოჩნდით,  
 თუ რომა სართ ქალებიო,  
 თორემ ძებნა—ლოდინძია  
 დამეღალა თვალებიო.

ამ სიტყვებით უნდა ეძმაკს  
 გამოიცნოს ძითი ბინა,  
 გაქანდეს და დაიჭიროს,  
 ან ელიკო და ან წინა!

—უკაცრაზად! ვერ დაგვცინცლებ  
 შენ, კოწიავე, ვერაფერსო,  
 ამ ქაშადაც შენ კარგუნებთ  
 თვალ-ხუჭუნის კიდევ ჯერსო!

სთქვენ და კიდევ გამოფრინდნენ  
 ვით ტოროლა, ვით შერცხალი  
 ბინა ღებმა დაიჭირეს,  
 მმა კი დარჩა ხახა-მშრალი.

მ. მღვიმელი.





# პატარა ტიტო

(მოთხრობა)

## I



არამობისთვის უკანასკნელი რიცხვები იყო. დაიძრენ სოფელულები თავიანთ ბავშვებით: ზოგს ახლად ჰქუვდა მისაბარებელი შვილი, ზოგს კი სწავლის გასაგრძობად მოუვდა. ტიტოს სიხარულს სასდვარი არა ქონ-

და, რადგან დედა იმასაც უპირებდა სასწავლებელში მიბარებას: შვიდი წლისა გახდა, სუძრობა სომ არ არის? გრძელ ტოტებიან მარუბლს ჩაიცვამს და დიდი კაცია გახდება. რა კარგი ქაძარი და ზურგზედ ასაკიდებელი აბჯა უეიდა დედამ! უჰ, შენი ჭირიმე! ისე ბზინაუს როგორც... აბა რა თქვას? როგორც სანთლით გაწმენდილი იატაკი! ის რაღაც ტომარასავით საღათი რომ ეცვა წინად, ახალ საღათს კი არა გავს! იმას თუ სამი დიდი ეკერა, ახალს კაი შვიდიც აკერიან. ეჰ! ეს კია, რომ სოფელში არ გამოადგება. ძველი განიერი იყო და, ხილს რომ მოიპარავდა, მივ ჩაიწუობდა სოფლმე, მაგრამ როდი ხანდა, თუ რაძე ჰქონდა. ეს კი, ვიწროც არის და... არა, მანც ეს სჯობია იმ ტომარას! მართლა, ის მოკლე წინდები რომ ეცვა, სი-

რცხვილი არ იქნება ასლა, იმ ზეპრად სიარული?! უფლები  
 უნანდა. იტყვიან, ისა სჯობიაო! ასლა ძე შკითხონ. გვერდნი

ასე ფიქრობდა მთელს დღეს ტიტო.

„ნეტავ, როგორია მასწავლებელი? დედამ სთქვა, — მასწავ-  
 ლებელი კეთილია და ბავშვები ძალიან უყვარსო. არა მკონია!  
 თუ კეთილია „ერთებს“ რად უსვამს ჩვენს ბესოს? თუძცა  
 აშბობს, — ვიკიჟე და იმიტომ დამისვია... — გაამტყუენა თავისი  
 თავი ტიტომ. — მაშ, ცელქობა არ შეიძლება სასწავლებელში.  
 დასვენების დროს შეიძლება, მაგრამ სწავლის დროს კი, არა  
 მკონია!

კიდევ დიდხანს იფიქრობდა, ასალი დედაენა და რვეული  
 რომ არ მოჰკონებოდა. გაიბრინა, უცებ შესტა, ისევ გაიქცა...  
 ვინ მოსთვლის, იმდღეს რამდენი ისტუნა ტიტომ!

— ტაშტი ვატყდა, ევან მოხდა, ქუქ და რიკ! — დაიფვირებ-  
 და ტიტო, ჩაიქუქებოდა, შემდეგ უცბად ასტებოდა და მეორე  
 ადგილზედ ვაჩნდებოდა.

„დედა-ენა“ რომ აიღო ხელში, გულდადებით, მუუაითად  
 დაუწყო ფურცვლა. ფოველს ნახატს დიდი უურადღებით სინ-  
 ჯაჟდა. ნახატი რომ მოეწონებოდა, შეწუსებული წამოიძახებდა:  
 — ამხედ კარგი რაძე ეწერება, მაგრამ რომ ვერა ვკი-  
 თხულობ!

თუძცა სასწავლებელში წასვლა და მასწავლებლის ნახვა  
 ძლიერ ეჩქარებოდა, მაგრამ უმთავრესი მიზეზი კი ის იყო,  
 რომ გრძელი მარჯლის ჩაცმა და აბკის აკიდება უნდოდა.  
 სახლში იკიდებდა, მართალია, მაგრამ უნდოდა სხვებსაც და-  
 ნახვებოდა.

საღამოზედ ჩაი რომ დალია, საჩქაროდ წამოხტა, დედას  
 მადლობა მოახსენა, ხელზედ აკოცა, დააწყო სკამზედ ფრთხი-  
 ლად მარვალი, (რასაკვირველია, გრძელ ტოტებიანი!) ასალი  
 საღათი, ქაძარი და დასაძინებლად გაემწადა; მაგრამ აბკა

მოაგონდა, ცქვიტად გაიქცა, ორი ბლითი, „დედა-მეც“ და რვეული ჩასდო შიგ, სკამთან მოაცუსცუსა და სჯდ დასდო. გულით უნდოდა, ძაღვ გასულიყო ღამე; ამიტომ თვალები დახუჭა და კედლისკენ გადაბრუნდა. (ასე ასწავლა დედამ დაძინება). დედამ ლოცვა მოაგონა. საწვავლი ტიტო, ისე იყო ხვადინდელი დღით ვართული, რომ სრულებით გადაზვიწვდა. საჩქარო სჯდ წამოდგა ლოცინსჯდ და ლოცვა დაიწყო.

— ღმერთო, დედა მიცოცსლე, ძმები, დები, ძესობლის ძვილი ბესო!

დედის გულს სიხარული მოეფინა. გაიგო, რომ მის ძვილს ისე ევარებია ძესობლიანთ ბესო, რომ ლოცვაშიც კი არ დაივიწყა.

ლოცვის შემდეგ ტიტო დაწვა დასამინებლად, მაგრამ ბევრს ხანს იტოვა ლოცინში. ბოლოს ძლივს ჩაეძინა.

## II

მეორე დღეს დედამ სასწავლებელში წაიუვანა. გაიარეს სასწავლებლის დერეფანი. არაუინ სჩანდა, პირველი გაკვეთილი დაწყებულიყო კიდევ. დერეფნის ძარჯვენა მხარეს ვეპერთელა კარები იყო, რომლის დანახვა სჯედაც ტიტომ წამოიძახა:

— უიბე, დედილო! რამოდენი კარია. შენ რომ ზღაპარი მიაძბე შავი დევისა, იმის ჩადგმული ხომ არ არი?— შეკვითხა ცნობის მოუვარგობით დედას.

— არა, ძვილო! აჯერ, შესჯე; ამ კარებს იქით დიდი ოთახია, იქ შენი ტოლები სწავლობენ. აჯერ მასწავლებელიც, — უთხრა დედამ ტიტოს და ფანჯარაში დაანახვა ოთახიდან მოძავალი მასწავლებელი.

მასწავლებელი გამოვიდა, მიესალმა ტიტოს დედას და ზღაპრავი დაუწყო.

— რა გქვიან შენ, პატარავ? — შეკვითხა მასწავლებელი ტიტოს.



— ტიტო, — წარბსეკრულმა უხასუსა ტიტომ.

— წაზიდეთ იმ ოთახში, აკერ, ჰატარა ბავშვები რომ სხუ-  
დან სკამებზედ, ვისწავლოთ.

— დედილო, წაზიდეთ მხსწავლებელთან, — დაებლაუჭა ტიტო  
დედას და ოთახისკენ მისწია.

— ჩემი შესვლა როგორ შეიძლება, შვილო, აბა, ვის უზის  
იქ დედა?

— წამოდი, ვისწავლოთ.

— აბა მასწავლებელს ჰკითხე, შეიძლება ჩემი შესვლა,  
თუ არა?

— არა, არა! როგორ შეიძლება! — დაუმტა მასწავლებელმა.

— მამ არც მე წამოვალ, — სთქვა ტიტომ და დედას მიუ-  
კრო.

— შერე სწავლა?

— შენც შემოდი და ვისწავლი, — გაჭირვეულდა ტიტო.

— კარგი, ტიტო, გეყოფა. აი მე აქ ფანჯარასთან ვიქმნე-  
ბი, გავიფლ-გამოვიფლი სოღმე და შენ წადი ისწავლე.

— არსად წასვდივ, აი!

— არა, შვილო, ხანდახან გავიფლ-გამოვიფლი აქვე დურ-  
ფანში.

როგორც იყო დედამ და მასწავლებელმა დაიხოლიეს  
ტიტო. როდესაც ოთახში შედიოდნენ, ტიტომ კედელში გაკე-  
თებული მაცხოვრის სატი დაინახა და წამოიძახა:

— აკერა იოსებ ქრისტე!

— იოსებ ქრისტე კი არა, იესო ქრისტე, — გაუსწორა მ-  
სწავლებელმა.

ტიტომ ფანჯრისკენ გაიხედა, დედა ხომ არ გამეზარაო,  
და იქ რომ ნახა, გული დაიმშვიდა. შემდეგ მასწავლებელმა  
ერთს სკამთან მიიუყანა, დასვა და უთხრა:

— აბა, უური გვიჯდუ, რაები ვილაზარაკოთ!



მასწავლებელმა გაკვეთილი განაგრძო, მოწაფეებს კითხვებს აძლევდა და ისინიც გარკვევით პასუხს აძლევდნენ.

— რა გქვია? — შეკითხა ტიტო გვერდსუდ ძუდომ ამხანაგს.

— სოსო, — უპასუხა ჩურჩულით ამხანაგმა.

— მე კითხვა ვიცი. შენა? შენ არ იცი?

— მეც ვიცი, — იგვარადვე უპასუხა ახალმა ამხანაგმა. სმა ძაღლა ნუ ლაპარაკობ, მასწავლებელი გაჯავრდება.

ტიტო განუძა.

— სუთი და საში რამდენი იქნება, — ჰკითხა მასწავლებელმა მოწაფეებს. — აბა, ვინც იცის თითი აიშვიროს. — მაგრამ, ვიდრე მასწავლებელი ამ სიტყვებს იტეოდა, ტიტომ წამოიძახა:

— შვიდი! შვიდი! სწორეა, თუ არა, ჰოო! — ნიშნის მოკებით სთქვა მან.

— ჩუ, ჩუ გვირი, თითი აიშვირე, თორემ მასწავლებელი გაჯავრდება, — უჩურჩულა ამხანაგმა.

— განა უნდა დაიჯვარო, ჩემო ტიტო. როდესაც იცოდა თითი აიშვირე, — და გკითხავ ან შენ და ან სხვებს.

— თითი რომ ამეშვირა, სომ ერთი იქნებოდა და სუთი და საში კი შვიდია, — უპასუხა ტიტომ თამაზად.

მასწავლებელმა გაიღიმა, მოწაფეებმა კი სიცილი მორთეს.

— თითის ამეშვრა იმას ნიშნავს, რომ იცი, და, თუ იცი გკითხავ, — დაარიგა მასწავლებელმა ტიტო, როდესაც მოწაფეები დაბწუნარა. ოღონდ შენ შესცდი: სუთი და საში რვაა და არა შვიდი. აბა დათვალე!

ამხრობაში ტიტოს დედა სასწავლებლიდან საქმესუდ წავიდა.

გაკვეთილის გათავებამდე სუთი წამი და დარჩა; მასწავლებელმა ნივთების შელაგება უბრძანა ბავშვებს. სიჩუქე ჩამოკარდა. უცბად ტიტოს დედა მოაგონდა; გაიხედა — იქ არ დახვდა. პატარა ხანს მოუცადა, ეკვბ დერეფანში დადის და გამოივლი-



სო; სატირლად მოემზადა. ვაიარო რამდენიმე წამმა... არ გამოიარა, სწახს წასულა“, — გაიფიქრა ტიტომ, სკამიდან და გარეა გავარდა. ბევრს ეცადა მასწავლებელი, დაუძვიდებინა, მაგრამ ტიტო უურსაც არ უგდებდა. დარეკეს ხარი, გამოვიდნენ მოწაფეები და მათთან ბესოც, რომელსაც მასწავლებელმა ტიტო სახლში გაატანა. ტირილით მისდევდა ახალი შევირდი ბესოს და ჩავარდნილს შარვალს ხან წინიდან აიწვევდა, ხან უკან იდებდა. სახლიდან წამოდებული ბლითი ხელში ეჭირა და ლოდნიდა. სახლს რომ მიუახლოვდნენ გაჩუქდა და ბლითს კებხა დაუწყო.

### III

მორჩა თავის საქმეებს ტიტოს დედა და სასწავლებლისკენ გაეშურა, მაგრამ შვილი იქ აღარ დასვდა. მივიდა მასწავლებელთან, რომელმაც უკვლახური უაპბო, და სახლში დაბრუნდა. კარი რომ შეაღო, ტიტო ისევ ბლითს ლოდნიდა და დედას დანახვას შეტრიალი მორთო: იცოდა — გაუჯავრდებოდა. დედამ მკაცრად შესვდა, შემდეგ მიამძხა:

— შენ ჩემი შვილი აღარა ხარ! — და მეორე ოთახში გავიდა.

ტიტომ ტირილს უმატა; ბევრს იტირებდა, რომ არ ჩაქმინებოდა.

სძინავს ტიტოს და ხედავს სიხმარში, ვითომ დედამ სოფელში მენახირედ დააყენა, როგორც სძირად ემუქროდა შეხამინებლად. ხელში დაობებული მავი ჰური უჭირავს და ბლითის მაგივრად იმას ლოდნის. ვრძელ ტოტებიანი შარვლის მაგივრად განიერი, სოფელური დაგლეჯილი-დაფლეთილი, აქა-იქ დაკონკილი შარვლი აცვია. პრილა ქაძრის მაგივრად წვრილი ტყავი აქვს შემოკრული. სადღაა ის შვიდ დილიანი ხალათი?! ისეთივე სამ დილიანი განიერი ხალათი აცვია,

დასეული და ჭუჭუიანი. სუფთა წინდების მაგივრად სამკვეთელი ტურტლიანი დასეულები ასევეა უჩვენესდ. წაღების მაგივრად — დასეული ქლაძნები. მენახირე ბიჭები დასცინიან:

— იიი! ქლაძში იყო და უიწავლელი ჩამოუთრია, იიი! 'ხო'ში მარია, კატა მენი ქმარია... — აჯავრებენ მენახირეები და თან ხალოკს თითებს ერთი მეორეს უხახუნებენ. მერე მივლენ ჯერ თავში ჩაუფახუნებენ, შემდეგ ერთი ძაბვანი დაიკვირებს:

— ბიჭო, გორული, აბა! მოდიან ცალ-ცალ ხელს აქეთ-იქიდან აჭერენ და თავს საზამთროსავით უჭერენ.

ახლა სხვები მოდიან. აკერ ვვირის ვიღაცა მწვემსი:

— მცხეთური, ბიჭებო, აბა, ვის ცინდათ? — ისევე ისე უჭერენ თავსდ აქეთ-იქიდან ხელებს. ტიტო ვვირის, ღრიალებს, უძახის საშველად დედას, რომელიც შორი ახლოს სდგას, უეუ-რებს და დამპვიდებით ეუბნება:

— ისწავლე, ტიტო, თორე, სულ მაგ დეში იქნები. „სწავლა სინათლება, უსწავლელობა — სიბნელე“.

სოფლის ბიჭები და მენახირეები კი ისევე ისე დასცინიან, აჯავრებენ და თავში უთაქებენ.

— კა მე, დედილო! — შეჭვირი უცბად ტიტომ, გამოიღვიძა, აქეთ-იქით მიისედა-მოისედა... სადღაა მენახირეები და სოფლის ბიჭები, სად არის დედა? ვეველა უცბად გაქრა. მის ვვირილ-სედ შეძინებული დედა გამოვიდა მეორე ოთახიდან.

— დედილო, ჩემო დედა! აღარ ვიხამ, აღარ ვიტირებ... მანატივე... ვისწავლი!.. არ მინდა მენახირეებთან უოფნა... მცემენ. — ეხვეწებოდა ტიტო დედას, რომელმაც აღუწინით შესედა შეიღს, მერე მივიდა, მუბლხედ აკოცა და უთხრა:

— აბა, შეილო, რად გაძავავრე? დარიკება უნდა გესმო-დეს. განა არ იცი, რომ დედას შეიღისთვის ცუდი არ ენდო-მება?

— ხოკს ენდომება, დედილო!



საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
სამეცნიერო ცენტრი

— არაკის; აბა ვინ გინახავს ან კავიგონია?

— შენ არ წამიკითხე ერთი კაცი რომ იყო და თავისი შვილები თრმობი ჩაუარა იმიტომ, რომ დედამ გარეკა სახლიდან. აკი წამიკითხე.


— ის, შვილო, დედინაცვალი, მუორე დედა იყო! — უბახუხა დედამ ტიტოს.

— ჰოო! — ჩაუიქრდა ტიტო. — აღარ ვიხამ დედილო. ჩემს დეგში აღარ ვიტირებ!

ტიტო გამოიცვალა. მასწავლებელი ძალსუფთა მუუვარდა და სულ უკან დასდევდა. სასწავლებლიდან რომ დაბრუნდებოდა, მიუჯდებოდა დედას და მასწავლებლის ნათქვამს და წინაკითხს უამბობდა.

დამ. დეკანოზიშვილი.





# ჯ ა ლ ლ უ ზ ა

(ფრანგულით)



ოგორც კი ნამკეს ჯალღუზა დანცვივდებოდა, კორაზანი უოკელ დილით ტეუში მიდიოდა მის ასაკრებდა თან დიდი ტომბრა მიჭკინდა. კორაზანს ძლიან უნდოდა ეს საქმე აეცდინა, — რაც თავი ასსოვდა, სულ ჯალღუზას აკროკებდა, (ოცდა სუთი წლისა იყო), — მაგრამ დედის ბრძანებას მანც ასრულებდა, რადგან დედის ურჩობა ფიქრადც არ მოუვიდოდა.

ერთსელი კორაზანი ხვეულებრივ ჰკრებდა ტეუში ჯალღუზას და თან ნატრობდა:

— „ოჰ! ნეტავი აღმა ესენი ოქროდ გადააქციოს.

აღმა გაიკონა ეს სიტყვები; საშინელი ზეჰაქუსილი ასტეხა და ერთ დიდ ნამკის სიდან გამოვიდა მშვენიერი თეთრი ქალი, რომელმაც კორაზანს უთხრა:

— „შენი აკრებილი ჯალღუზა ოქროდ გადააქცევა, როგორც სახლში მიიტან; მხოლოდ იმ ზირობით კი, თუ ტეუდან სახლამდე გულში ცუდს არას გაიტარებ. იცოდე, კმესჯერ გამოგცდი, და ვინძლო, ნატვრა აისრულო.



კორაზანმა დაუხოჯა და ისე გადაესხადა მადლოვნების ნაძვშივე შებრუნდა. ახვსო უძაწვილმა კაცმა ტომარა, დარწმუნებული იყო, ალის ჰირობა შევასრულეო, მაგრამ ვაჰი! ჯაღლღუსა ისევე ჯაღლღუსად დაწნა, -- ერთიც არ იქცა ოქროდ.

მეორე დღეს, კორაზანი ტეში ძევიდა, და დაიბნა:

— „ალო! რა დაუძავე, რომ დანაჰირვეი არ ამისრულე?“

აღი მაშინვე განხდა და უპასუხა:

„ბევრი დრო დამჭირდება, რომ ეოველი შენი დანაძაული ჩამოგიტავდლო. მხოლოდ ეს მითხარი: ტომარა რომ გადავსე, ჯიბეებში რაღად გაიტყე? წინად სომ ავრე არ იქცეოდო! აჰაი, კორაზან, შენ უკვე შესცოდე მინამ ტომარას სურგზე წამოიკიდებდი! ფიქრობდი, როდესაც ჯაღლღუსა ოქროდ გადაიტყვა, მე ზოგი ცაღკე მექნება, და ჩემს ძმებსა და დებს არ გავუეობო.“ წადი, შენს საქმეს შეუდექ და კვლავ ჰკვიანად მოიქეცი“.

კორაზანმა ბოდიში მოინადა ალთან.

ხელახლად ახვსო ტომარა, ჯიბეებში კი აღარა ჩაიყარა რა. მაგრამ მაინც არ აუსრულდა ნატურა. დეღამ დაუძაღლა მხოლოდ: „ეოზად, შვილო, ძალიან კარგი ჯაღლღუსა მოგატყეს, და ცუცხლი მძვენირად ეკიდება.“

„გუშინ რაღა ვიფიქრე ცუდი?“ ჰკითხა უძაწვილმა მეორე დღეს ალსა; გუშინ სომ აღარა დამიძავებია რა?

— კიდევ მკითხავ? რა იფიქრე, როდესაც მდიდარ მესობლის სახლის წინ გაიარე? „ეს სახლი მძვენირია, მაგრამ ოდესმე ვეველასე კარგი აღარ იქნება ამ სოფელშიო.“ მოიგონე, რა სინარულმა აგიტაცა ეგ რომ იფიქრე. სრულიად სამეოფი იყო ეგ შური, რომ სასწაული არ მომხდარიყო.“

კორაზანმა სმა ამოუღებელივ მიჰყო ხელი თავის საქმეს, გადასწევიტა გაურთხილებულიყო და ცუდს ფიქრებს მორიდებოდა. მაგრამ ამაო იყო მასი სიურთხილე: არც იმ დღეს იქცა ჯაღლღუსა ოქროდ.

— „მლიერო ალო,“ - დაიძახა მეორე დღეს კორაზანს, შევიდა თუ არა ტყეში, როგორ მოხდა, რომ დაპირებან არ შემისრულე? მდიდარ მეხობლის ხახლის წინ რომ გავიარე, პირი იქით მივიღე, რომ ავი ახრი არა მომსვლოდა რა.

— „დიდა, საწყალ მეცხვარის ქოსს გადაჭხედე და გაიფიქრე: „ეს კაცი მლიერ უთაური და ხარმაცია, რომ ეპურისათვის თავი მიუნებებია და ასე აღზობსო.“ არ იცოდი განა, რო ექვსი თვეა ლოგინად არის აჭაი, კორაზან! ვინაჲ სიმდიდრის შექენა უნდა, მეხობლის განკითხვაც უნდა იცოდეს.

ამოიოსრა საწყალმა კაცმა და დაიკუსა ჯალღუსის ასაკრებად. იმედს მანც არ ჰკარგავდა და დარწმუნებული იყო, რომ სასწაული უეჭველად ასრულდებოდა. აავსო ტომარა; აღარა სწუნობდა ამ საქმეს, რადგან უნდოდა სიმდიდრე შეეძინა და შინაურები გაესარებინა. ტყუილი ჯაფა! როდესაც ტომარა გახსნა, იქიდან ფერ უცვლელი ჯალღუსა გადმოიძნა. უკვლახს უხაროდა, მშვენიერი ცეცხლის აღს რომ ჰხედავდა. მარტო კორაზანი იყო უკმაყოფილო და დაღონებული; გემრიელად ვერ შეჭამა შეჭამადი, რომელიც დედამ იმ მშვენიერ ცეცხლზე მოხარმა.

მეორე დღეს კიდევ ჰკითხა აღს თავისი დანაძაული, აღმა წარბ შეკვრით უძასრნა:

„როდის მოხვალ ჭკუაზედ, კორაზან. გუშინდელისთანა დანაძაული ჯერ არ ჩავიდენია. ტყიდან რომ გავსედი და დაინახე შორიდან მომაჯალი შენი მეხობელი ქალი კოლომბელი, ჩვეულებრივი გ'სა რად მიატოვე და მინდორში რად გადაუსვი? სომ განკებ აუქციე გ'სა? წინად კი გ'სას გაიორკეცებდი ხოლმე, ოღონც იმ ქალს შეხვედროდი! „დედა ჩემი კოლომბელის შერთვის ნებას არ მაძლევს: უნდა დედას დავმორჩილდეო!“ ორპირო! შენი ნამდვილი ახრი ის იყო, რომ კოლომბელი შენთვის მლიერ ღარიბი იქნებოდა.“



დაძნაძნევემ თვალ ცრემლიანმა შეჭლადადა აღს: თარგმანი  
გაბრიელისა

„ოჰ, რა უბედური ვარ! მკონი, მაგისტანა ჰირობით ვუ-  
რავინ მოიპოვეს ბედნიერებას. სასჯელი დაჰიშნასურე. დამ-  
ტოვე ისევ ისე ღარიბად, როგორცა ვარ, მხოლოდ ისე მა-  
მისერსე, კეთილო ალო, რომ დედა ჩემმა ნება მამცეს კო-  
ლომბელის შერთვისა“!

„დაბრუნდი შინ,—უპასუხა ალმა,—და ტომარას რომ გა-  
დმოიღებ ზურგიდან, დაუჩოქე დედა შენს და სთხოვე შენი  
ბედნიერება.“

კორასანმა დაიჯერა. ისე ბავსო ტომარა, რომ ცუდი არა  
უფიქრია რა და გასწია სახლისკენ; გზაში სულ თავის სი-  
უვარულზე ჰფიქრობდა. როდესაც ტომარა ბუხართან მისდგა,  
დაიჩოქა დედის წინ და უთხრა:

„დედა ჩემო, ნება მიბოძე შევირთო კოლომბელი“...

სწორედ ამ დროს გაისა ტომარა და იმისთანა წყრილით  
გადმოცვივდა ჯაღლუსა, რომ ვეკლანი შეკრდნენ. ჯაღლუსა  
ისე ბჭეუინავდა, როგორც ოქრო, რადგანაც ოქროდ ცეულიყო.

ოქრო იმდენი იყო, რო კორასანის დაძმას ვეკლას სამ-  
ყოფი გახვდა. როდესაც ვეკლამ თანასწორად გაიუკეს (კორა-  
სანმა ისე ისურვა), იმისთანა მდიდარ გლეხებად გადაქცენ,  
რო სამი დღის სავალზედ ისე შეძლებული არაზინ იყო. იმათ-  
თანა კეთილი და მადლიანი კი მთელ ქვეყანასზედ არ მოი-  
პოვებოდა. შეცხვარეს უვარი გაუხლეს; ეს თითონ შეცხვარე-  
საგან მაქვს გაგონილი; თან კარგი ექიმები დაუენეს და მო-  
არჩინეს.

ანტონ








# ეკაკილები

(თარგმ-5-)



ზიანი დღე ეველას გარეთ იწვევდა. გაძოვიდა მია კოტეც სადილის წინ გასასვირებლად; თან წაიყვანა თავისი ძმის წულეები ლენა და მაკა. დასცხა მიას; ამოიჩნია დიდი სე, ჩამოჯდა ერთს ჩრდილში და ფიქრებს მისცა თავი.

ლენამ და მაკამ მინდორში სირობილი დაიწვეს და თან მშენიერ ევაზილებს კრუფავდნენ. მერე რა ლამაზი ევაზილები იყო! ვის მოსწეინდებოდა ამათი კრუფა!

— მია, მია, მიირბინა მიასთან მაკამ—რად არის რომ ზოგი ევაზილი ლურჯია, ზოგი წითელი, ზოგი თეთრი?

ლენამ მიას არ დააცადა ზასუსი, თვითონ უზასუსა მაკას: „ნუ თუ არ იცი? ეს ევაზილები იმიტომ არიან სხვა და სხვა ფერისა, რომ მიიზიდონ ჭიები; ჭიებმა ამათ სამსახური უნდა გაუწიონ და ამათგან თაფლი წაიღონ.“

— შენ გკონია, ლენა, — ჰკითხა მამამ, რომ ევაზილებმა იციან რამე ჭიებისა? იციან იმათი გემოვნებაც, რომელი ფერი უუვარს ჰეველას, რომელი ფუტკარსაო?

„არა, ცოტა ეოქმანის შეძვეკ სთქვა ლენამ.“



— მაშ თუ არაფერი არა იცინა-რა ჭიებისა და სხვა-რა ბუნებისა, რად უნდა მიიღოს ზოგმა წითელი ფერი, ზოგმა თეთრი?

„მე მკონია, სთქვა მკამ, ევაგილებს აქვთ რამე მიზეზი, რომ აგრე სხვა და სხვა ფერისანი არიან.“

— დიდაც, დაეთანხმა მია.

„მანც და მანც რა საჭიროა ევაგილისათვის, რომ ის ლილის ფერისაა, და არა წითელი,“ რა სარკებლობას კვლავებს სხვა და სხვა ფერში? არ იჯერებდა მისი სიტყვებს ლენა.

— აბა მითხარი, ქალო, რად გაცვია შენ საფსულში უფრო ღია ფერის კაბები, სამთარშიკი მუქი?

— „იმიტომ რომ ღია ფერის კაბებში ნაკლებად ცხელა!

— მართალი ხარ! სამთარში უფრო მუქი ფერის კაბებს იცვამ, რადგან მუქებში უფრო თბილად იქნები. რომელ კაბაში უფრო გრილა: თეთრში თუ ლურჯში?

„თეთრში“, უპასუხა ლენამ.

— რომელში უფრო ეთბილება: მისხაკის-ფერ და იის-ფერ კაბაში?

— „მისხაკის-ფერ კაბაში.“

— აი, სწორედ, ეგრეა ევაგილების საქმეც: შენ სომ იცი, რომ ევაგილში მწიფდება თესლი; ამ თესლიდან შემდეგში ნორჩი მცენარე გამოდის. თესლის დასამწიფებლად ზოგ ევაგილს მეტი სითბო უნდა, ზოგს ნაკლები. თუ ევაგილს მეტი სითბო სჭირდება, წითელთან მისხაკის-ფერისა იქნება; თუ არ უნდა ბევრი სითბო,—ზოგი თეთრია, ზოგი ჰირის-ფერი, ზოგიც იის ფერი. ევაგილი იმ ფერისაა, რა ფერიც უფრო საჭიროა იმისთვის, და არა იმ ფერისა, რომელიც ჭიებს მოეწონებათ. ჭიებისა ევაგილებმა არა იცინა-რა.

მია გაჩუმდა, ლენა ჩაფიქრდა და მერე ისევ იკითხა:

„მია, ვკებ ევაგილებს სუნი სჭირდებათ რისთვისმე?

— რა თქმა უნდა, ჩემო კარგო.

„ეხს-კი სრულებით არ მესმის, რად უნდათ ნეტა? მითხარე, ჩემო ძია!“

— არ შეგინიშნავს, ლენა, რომ ზოგ ვეპვილს დღე აქვს სუნი, ზოგს ღამე?

„როგორ არა! რა მშვენიერი სუნი აქვს ღამე ღამის-იას, აღტაცებით დაიძახა ლენამ.“

„დღე-კი რა საუცხოო სუნი აქვს ვარდს—დაიძახა მაკამ.“

— ერთი ეს მითხარი, ლენა, როცა შენ თავი ავტკივად და სიცხე გაქვს, არ მოსთხოვ დედას ოდეკოლონს, რომ შუბლი გაიგრილო?

„როგორ არა!“

— მერე რა ხდება?

„ოდეკოლონი ორთქლად იქცევა და თავი მიგრილდება.“

— „ჭოდა იმ ვეპვილებში, რომელთა დღე აქვთ სუნი, საუდება ისეთი ნივთიერება, რომელიც ადვილად იქცევა ორთქლად: როდესაც მზე ამ ვეპვილებს უფრო მეტ სითბოს უკზანის, ვიდრე თესლისთვის სჭირდებათ, ეს სუნნელოვანი ნივთიერება ორთქლად იქცევა და ვეპვილებსაც ისე ძლიერ აღაზრს სცხელათ.“

„ღამე, ძია? ღამე ხომ ცივა, მაგრამ ზოგ ვეპვილს ღამე უფრო ძლიერი სუნი აქვს!“

— აქ სხვაა, ჩემო ლენა! გახსოვს, მარშან თქვენ რომ დიდი დედას ესტუმრეთ, მანისი დამღვეს ღამ-ღამობით ძალიან ცივოდა, ისე რომ ბევრი ვეპვილი დაიღუპა.“

„მახსოვს.“

— ისიც გეხსოვება, თუ რასა შერებოდა დიდი-დედას მუბაღე ვეპვილების გადასარჩენად?

„როგორ არა! მუბაღე ვეპვილებს სქელ კვამლში გახსკვედა სოღმე.“



— ეს კვამლი არ უძვებდა ვვაკილებთან ღამის მსოფლიოს და ნებისას აძლედა მიწას, დღისით მზის სხივებით გაცსულელებულს, ძაღვ გაცივებულს. ეს კვამლი ვვაკილებისთვის წამოსასხამის მაგურობას სწევდა. ესლა ხომ გესმის, რად იძორებენ ზოგი ვვაკილები ღამ-ღამობით თავიანთ სუნსელოვან ორთქლად-ქცეულ ნივთიერებას?

„მესმის ძია, მესმის, წამოიძახა მაკამ. ვვაკილები ღამე ესვევიან თავიანთ სუნსელოვან ორთქლში, რომ არ გაცივდნენ.“

— რაც უფრო სქელია ორთქლი, მით სუნი უფრო ძლიერია და ვვაკილიც უფრო უვნებელია ღამის სიცივისაგან, დაუძატა ძიამ.

„ახე რომ ღამის სუნი ვვაკილებისა—ეს მაგათი საბანია!“  
გაიციანა მაკამ.

— ჰო, საბნის მაგურობას უწევს სწორედ.

„ვვაკილების ფოთლები-კი მაგათი კაბაა,“ სიცილით დაუძატა ლენამ.

— სწორედ, სთქვა ძიამ. ესლა წამოიღეთ თქვენი ვვაკილები და წავიდეთ შინ, სადილის დროა.

მატარა ქალები საჩქაროდ წამოვარდნენ ზეზე, აკრიფეს ვვაკილები, ძიან მკლავში ხელები გაუუარეს და გაუდგნენ გზას.





## სახლისო სამუშაო და გასართობი

### ქარის წისქვილი

აღეთ დიდი ბოთლის საცობი (პრობკა) და გამოუჭერით შუა-გული ისე, როგორც ნახატზედ არის ნახევნები (I ისარი) ოთხი ასანთი გაუკეთეთ ფეხების მაკიურად (II ისარი). შემდეგ თხელი თუნუქისგან გამოაჭერით ოთხი წისქვილის ფრთა (III ისარი) და გაურჭეთ ჰატარა ბოთლის საცობის ნაჭერში. მხოლოდ ის ნაჭერი რკვალის უნდა იყოს. ღერძად გრძელი ღურსმანი გაუკეთეთ ისე, რომ დიდი ბოთლის საცობიც კაი-აროს და შუალა, ფრთების ჰატარა ნაჭერიც. (IV ისარი). ის ნახურეტები დიდი ბოთლის საცობისა, რომელიც ღურსმანი წვერებს გამოჭეოფს, განი-ვრები უნდა იყოს, რომ ღერძმა თავისუფლად იტრიალოს. მალედას საცობის ბოლო ნაწილში ჩაურჭეთ გახურეტილს ალაგში, რომელიც ფრთებამდე გადის, ჰატარა რკვალის თუ-ნუქა, (V ისარი) ძილის მსგავსი. თუ ამ თუნუქაში ჩაუბუ-რავთ, ფრთები ტრიალს დაიწყებენ.





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

### შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი თეოფ. კანდელაკის მიერ).

იმის სახელი, რაზედაც ბაღებს  
სარბად უჭირავთ ეოველთვის თვალი,  
რომ მოვებრუნოთ და ერთ სმოვანით  
შევაგნოთ იმის ბოლო ძარცვანი, -  
დიდებულ პირის სახელს მივიღებთ,  
ვისაც თავიანს სცემს ზეენში ძრავანი.

### ხალხური ლექსები

(გაგონილი დავით კაცი ძესგან, ჩაწერილი დ. დეკანოზიშვილისა)

ივანე ივანჭილაო!  
თბგები დაგპწიროო,  
ხორცი გუდაში ჩაგგდო  
ტვაგები დაგპწიძო.

გენაცვადლე ქერის ზურო,  
ანაცვრო დივისაო!  
შენ რომ სახლში დაგაძველებ  
ვიცი, უველამ იცისაო.

### ანდაზები

ქერდი სახლს ვერ აიძუნებ  
სხვისას კი დაბქავსო.

ერთმა ტაღახინმა ღორმა  
ასი სხვა გათხვარაო.



### ჩქარა გამოსათქმედი

(წარმოდგენილი თბილისის სათავად-სტოროს მოწა-  
ფის დავით კარბულა შვილს მიერ.)

თათარი თეთრ თუძმედ  
თეთრ თუთასა სჯამს.



განომცემელი კნ. ნ. ე ქობულაშვილისა.

რედაქტორები { კნ. ე. ერისთავისა.  
ნ. ზურაბიშვილისა.